2023 წლამდე მოქმედი სადოქტორო პროგრამების 2023 წელს აკრედიტებულ პროგრამებზე დოქტორანტთა გადაყვანის მექანიზმი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეიქმნას კომისია[1] აკრედიტაციის საფუძველზე სადოქტორო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების ანალიზისა და 2023 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი და აკრედიტებული პროგრამების ვერსიების სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით;
2. კომისიას დაევალოს აკრედიტაციის მინიჭებამდე პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ მიღებული განათლების აღიარების პრინციპების შემუშავება რეაკრედიტებული სადოქტორო პროგრამის მიზნებისთვის.
3. ასევე, დაევალოს სადოქტორო პროგრამების წინარე და აკრედიტებული ვერსიების სასწავლო კომპონენტების სილაბუსების/ მინიმალური სტანდარტების შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე ძველი და მოქმედი სასწავლო გეგმების თავსებადობის პრინციპების განსაზღვრა.

II ეტაპი:
კომისიამ განიხილოს და თანხმობის შემთხვევაში დაადგინოს შემდეგი პრინციპი:

1. დოქტორანტებმა, რომლებმაც პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მინიჭებამდე (2023 წლამდე) დაასრულეს სასწავლო კომპონენტის ათვისება და დააკმაყოფილეს სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის სხვა წინაპირობები, არ აქვთ ვალდებულება დააკმაყოფილონ პროგრამის ახალი ვერსიით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება ძველი და ახალი სასწავლო გეგმის შემადგენელ კომპონენტებს შორის დადგენილი თავსებადობის მიხედვით.

2. 2023-2024 და 2023-2024 სასწავლო წლამდე პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს (მათ შორის სტატუსშეჩერებულებს), რომლებსაც სრულად არ აქვთ ათვისებული სასწავლო კომპონენტების

[1] (შემადგენლობა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი და/ან დარგის სპეციალისტი, რექტორის მრჩეველი და/ან სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენელი)

კრედიტები, გაიარონ აკრედიტებული პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსი - მეცნიერების მენეჯმენტი, ხოლო გავლილი სასწავლო კომპონენტები ჩაეთვალოთ ათვისებულად ძველი და ახალი სასწავლო გეგმის შემადგენელ სასწავლო კომპონენტებს შორის დადგენილი თავსებადობის მიხედვით, სპეციალობების შესაბამისად:

სამუსიკისმცოდნეო კვლევები

დასახელება	კრ	დასახელება	კრ
საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება I	15	კვლევის მეთოდები	5
პედაგოგიკის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები	10	სწავლების მეთოდები	5
ალტერნატიული სასწავლო კურსები	16	დოქტორანტის სემინარი	10
აკადემიურ-პედაგოგიური პრაქტიკა	8	პროფესორის ასისტირება	10
		მეცნიერების მენეჯმენტი	5
			35

საშემსრულებლო ხელოვნება და კომპოზიცია

დასახელება	კრ	დასახელება	კრ
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება I, II სემ	6	კვლევის მეთოდები	5
აკადემიურ-პედაგოგიური პრაქტიკა	8	პროფესორის ასისტირება	10
პედაგოგიკის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები	10	სწავლების მეთოდები	5

ალტერნატიული სასწავლო კურსები	12	დოქტორანტის სემინარი	10
		მეცნიერების მენეჯმენტი	5
ჯამი			35

III ეტაპი

დოქტორანტების სასწავლო ბარათების შესწავლა და კრედიტების აღიარება მოხდეს ინდივიდუალურად, სასწავლო კომპონენტების თავსებადობის დადგენისა და სარეკომენდაციო საგნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაწერის მიზნით.